პროლეტარიანო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 8 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 76 (774) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების უფასოდ ლიტერატურა გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევგენ ბულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ. სტრ.

კედლის გაზეთები უნდა გაუმჯობესდეს.

ნაწილის კედლის გაზეთი ერთი ძლიერი საშუალებათაგანია წითელ-არმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდის საქმეში. აღნიშნავს რა თავის ფურცლებზე ნაწილის მიმდინარე ცხოვრებას, მის მიღწევებს და აგრეთვე უარყოფით მოვლენებს კედლის გაზეთი ყოველივე ამით ხელს უწყობს ნაწილის წინსვლას და წარმატებით მუშაობას მისი რიგების განმტკიცების საქმეში.

კედლის გაზეთი უნდა იყოს ის სარკე, რომელშიდაც მოსჩანს წითელ-არმიელთა მასის სულისკვეთება; ამავე დროს ის უნდა ქმნიდეს საზოგადოებრივ აზრს და მაყვდეს ის იმ მიმართულებით, საითკენაც მიუთითებს კომუნისტური პარტია წითელ ჯარს.

კედლის გაზეთი იკრებს რა თავის გარშემო წითელ-არმიელთა მასებს, ამავე დროს უნდა ხელმძღვანელობდეს მათ და თავისი სწორი ხაზით ხელს უნდა უწყობდეს ნაწილის ყველა მორიგი ამოცანების ნაყოფიერად შესრულებას.

თითეული მოთავსებული წერილში კედლის გაზეთი უნდა გამოდიოდეს ნაწილის კეთილდღეობის თვალსაზრისიდან.

ის ისეთი სახით უნდა აშუქებდეს ყველა ნაკლს და დეფექტებს, რომ ამით სახაბი არ მიეცეს არავითარ პირად ინტერესების შეჯახებას, არამედ გამოიწვიოს საერთო ხალისი და ენერგია არსებული ნაკლის სწრაფათ გამოსასწორებლად.

კედლის გაზეთი უნდა ეხმარებოდეს მეთაურს და პოლიტმომუშავეს მათზე დაკისრებულ ამოცანების შესრულებაში.

ამავე დროს კედლის გაზეთი ყოველ მხრივ უნდა დაეხმაროს თავის მასიურ მკითხველს წითელ არმიელს რომ მან უკეთ შეიგნოს და შეითვისოს ყველაფერი ის, რასაც ასწავლიან მას მეთაური და პოლიტმომუშავეები.

ცხადია ყოველგვარ ბოროტმოქმედებას ნაწილში, გულგრილობას, თავაშვებულობას ერთი სიტყვით ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის დისციპლინის ამაღლებას და ასუსტებს წითელ არმიის რიგებს კედლის გაზეთი აგრეთვე ყოველივე ამას სასტიკად უნდა ებრძოდეს.

აი დახლოებით როგორი უნდა იყოს კედლის გაზეთი, მაგრამ მეტ ნაწილად ჩვენ კედლის გაზეთებს არ აქვს შეგნებული ეს თავისი პირდაპირი მოვალეობანი.

ისინი სცილდებიან თავის ნაწილის საზღვრებს, სწერენ გრძელ არშინიან წერილებს განყენებულ თემებზე და ამით სწყდებიან წითელ არმიელთა მასას, ზოგჯერ კი კედლის გაზეთების რედაქტორები ყურადღებას აქცევენ გარეგნულ სახეს და შინაარსის მხრივ კი მათი ნაწარმოები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ამიტომაც კედლის გაზეთის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საკითხი დგება ჩვენი მორიგი ამოცანად. ამ მხრივ ეხლავე უნდა გადიდგას პრაქტიკული ნაბიჯები.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ კედლის გაზეთებს ჩვენ რედაქციამ გაუწიოს ხელმძღვანელობა და თავისი პრაქტიკული მითითებებით დაეხმაროს რედაქტორებს სწორ გზაზე დააყენონ კედლის გაზეთები. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ კედლის გაზეთები ხან გამოშვებით გადმოეგზავნება რედაქციას განსახილველად. რედაქცია აღნიშნავს ყველა ნაკლს, მიღწევებს და ან ჩვენი გაზეთის საშუალებით ან კარმა წერილის სახით მისცემს სათანადო დარიგებებს კედლის გაზეთების ხელმძღვანელებს.

აგრეთვე საჭიროა ნაწილებმა ერთმანეთს გააცნონ თავ—თავიანთი კედლის გაზეთები.

კედლის გაზეთები უნდა გავაუმჯობესოთ!

და ეს ამოცანა ჩვენმა ნაწილმა უნდა შეასრულონ!

პოლონეთის ბურჟუაზია განაგრძობს თავის შავ საქმეებს.

ბურჟუაზიულ პოლონეთის თავხედობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო იზრდება მისი თავგასულობა.

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება რადიო ცნობა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ სამართველოს ვოლინის განყოფილების აგენტებმა დაატიმრეს მთელი ჯგუფი პოლონელ ტერორისტებისა,

პატიმართა დაკითხვიდან გამოირკვა რომ ისინი იყვნენ გაგზავნილი პოლონეთის დენერალურ შტაბის მიერ საბჭოთა რუსეთში ტერორისტული აქტების მოსახდენათ.

ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად შევხედოთ ამ ფაქტს, მით უმეტეს როდესაც ჩვენ გავხდით პოლონეთის ხელისუფლების არა ერთი და ორი ხაზოვანი საქციელის მოწამე. ჯერ კიდევ არ გამშრალა გმირ რევოლიუციონერების ვეჩერკოვიჩის და ბაგინსკის სისხლი, რომ პოლონეთის კონტრ-რევოლიუცია აბირებს ახალ საზიზღრობის ჩადენას უკვე შიგნით საბჭოთა კავშირში. ის ლამობს თვით საბჭოთა კავშირის მშრომელთა ბელადების სისხლის დაღვრას, მაგრამ სახელმწიფოს პოლიტიკურ სამართველოს ფხიზელ თვალმა შეუშალა მას ხელი.

პოლონეთის ბურჟუაზია იწყებს ცეცხლთან თამაშს, მისი საქციელი საბჭოთა კავშირის მიმართ სრულიად ეწინააღმდეგება კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების პრინციპებს, რის გამო ის მართავს ბალტიის ზღვის განაპირა ქვეყნების და რუმინეთის დენერალურ შტაბების წარმომადგენელთა თათბირს, რომელიც იმუშავებს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო სამხედრო გეგმებს. ამავე დროს პოლონეთის ბურჟუაზიის ჯალათები ვერაგულად კლავენ ამხ. ვეჩორკევიჩს და ბაგინსკის. დაბოლოს საბჭოთა ხელისუფლება აპატიმრებს პოლონელ ტერორისტებს, რომლებსაც სურდათ მშრომელთა ბელადების მოკვლა.

რას გვეუბნებიან ეს ფაქტები? მას რომ პოლონეთის ბურჟუაზია მიუხედავათ ჩვენი ყოველგვარი ცდისა დავამყაროთ ნორმალური მშვიდობიანური დამოკიდებულება მასთან, მაინც განაგრძობს თავის მტრულ პოლიტიკას მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენ კიდევ ერთხელ მოვაგონებთ პოლონეთის კონტრ-რევოლიუციონერებს, რომ ჩვენი მტკიცე სურვილია ყველა მეზობლებთან მშვიდობიან დამოკიდებულებაში ვიყოთ. მაგრამ ამასთანავე ვაფრთხილებთ, მათ რომ არავის ნებას არ მივსცემთ ჩვენი უფლებების შებღალვას. ამის უფლებას არ მივსცემთ არც მათ.

ნუ დავიწყებენ ამას პოლონეთის მკვლეფელები.

—ე.

ახალი რადიო-ამბები

პოლონეთის ბნელი პოლიტიკა თანდათან აშკარავდება.

თავდამსხმელთა შეპყრობა.

სახელმწიფოს პოლიტიკურმა სამმართველომ დაატიმრა ტერორისტების ჯგუფი, რომელშიაც შედიან: პოლონეთის გენერალურ შტაბის მეორე განყოფილების გენტი მარცინიუკი და მეორე განყოფილების ოფიცრები კუშნირი, დოროში და რიაბცუკი. უძანასკნელმა დაპატიმრების დროს თავი მოიკლა.

მათი ჩვენებიდან გამოირკვა, რომ აღნიშნული ჯგუფი მოქმედებდა პოლონეთის გენერალური შტაბის დავალებით და მონაწილეობდა თავდასხმაში და ძარცვაში საბჭოთა მხარეზე და ამასთან აწარმოებდენ საზვერავო მუშაობას პოლონეთის სასარგებლოდ.

დაპატიმრებულები გამოტყდენ, რომ პოლონეთის გენერალური შტაბის პორუჩიკმა ოსტრომორსკიმ მისცა მათ რევოლვერები საბჭოთა მუშაკების მოსაკლავად. დაპატიმრების დროს მათ მართლაც აღმოაჩინდათ „სტეიერის“ სისტემის რევოლვერები და რამოდენიმე ვაზნა. ერთი ასეთი რევოლვერით მარცინიუმა მოჰკლა სანაპირო რაზმის თანამშრომელი.

გამოძიება დამთავრებულია და მასალები გადგზავნილ იქნა ვილნის საგუბერნიო სასამართლოში ბოროტმომქმედთა პასუხის გებაში მისაცემად.

ინგლისის პრესა პროფკავშირთა თათბირის შესახებ.

კონსერვატორების გაზეთი „ტაიმსი“ აცხადებს, რომ ბრიტანეთის პროფკავშირთა ბელადები თათბირის მოწყობით ხელს უწყობენ ინგლისის პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის მოძრაობას და ზარალი მოაქვს იმ ქვეყნების პროფმოძრაობისათვის, რომლებიც ემხრობიან ამსტერდამის ინტერნაციონალს.

სხვა კონსერვატორული გაზეთები თათბირის ცნობებს უშვებენ შემდეგი სათაურებით: „წითელი შემოქმედება“ წითელი საფრთხე“ და სხვა.

ლიბერალური გაზეთების წერილებიც მტრული ხასიათს ატარებენ.

„დეილი ჰერალდი“ აბაითილებს ბურჟუაზიული გაზეთების ბოროტს და აქვეყნებს ტომსკისა და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრთა ბიოგრაფიას.

ინგლისს ესაჭიროება ჩვენთან ვაჭრობა.

ბრიტანეთის კრედიტორების კავშირის წარმომადგენელმა რუსეთში ტოლბოტმა განაცხადა: „ჩვენი პასიურობის მიზეზი უკანასკნელ წლებში იყო ის, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერობობის განახლების საკითხი მინიშნებული ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკურ მოდვაწეებს. ჩვენში მზადაა მრავალი ფირმები, რომლებიც მონდომებული არიან განახლონ საქმიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან თუ რომ უკანასკნელი მას მისცემს გარანტიას ვალდებულებათა ასრულებაში.“

ოსმალეთის ამბები.

ოფიციალურ წყაროების თანახმად აჯანყებულთა მთავარ რაიონებში, აჯანყებულები დამარცხდენ და უწესრიგოდ გარბიან. მთავრობის ჯარებმა ხელთ იგდეს საყურადღებო საბუთები, რომლებშიაც აღნიშნულია აჯანყების მომწყობთა სახელები.

მთავრობის ჯარები წინ მიდიან.

ამხ. იურენევი დაინიშნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად სპარსეთში.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით იტალიაში მყოფი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელი იურენევი დაინიშნა იმავე თანამდებობაზე სპარსეთში შუმიაცკის ადგილას.

საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლად იტალიაში დაინიშნა კერჟენცევი.

შიმშილობა ბესარაბიაში.

ბესარაბიაში დღითი-დღე იზრდება პურის კრიზისი. ბაზარზე პური სრულიად არ მოიპოვება. ფურნეებთან დიდი რიგებია.

დარბევის თავიდან ასაშორებლად ფურნეს იცავს პოლიციის გაძლიერებული დარაჯები. მოსახლეობაში მღელვარება იზრდება. ამის გამო მთავრობამ გააძლიერა ბესარაბიაში ჯანდარმთა რაზმები.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს მესამე სრული

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მთავროგის ანგარიში.

6 აპრილის დილის სხდომა

ამხ. შ. ელიავას მოხსენება.

ამხ. შ. ელიავა, მანამ დაიწყებდა თავის ანგარიშს, რომელნიმე სიტყვით შეეხო საბჭოთა კავშირის, ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების და კერძოთ საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობას.

გასულ წელს—ამბობს ამხ. ელიავა—დასრულდა პირველი პერიოდი საბჭოთა რესპუბლიკების და ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობისა. ეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობის ხანაა.

დასავლეთის და აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა, მათ ბრძოლის იპპონიმაც, იცნეს საბჭოთა კავშირი, როგორც თანასწორი სახელმწიფო. დარჩა მხოლოდ ამერიკა, რომელთანაც ჩვენ არ გვაქვს ჯერ-ჯერობით ნორმალური ურთიერთობა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობა საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთის ქვეყნების—სპარსეთის, ავღანისტანის და სხვების ურთიერთობა, რადგან ჩვენ საერთო მტერი, საერთო მიზანი გვაქვს—ბრძოლა ამ მტერთან—იმპერიალისტურ ქვეყნებთან.

ამხ. ელიავა შემდეგ აღნიშნავს, რომ ცნობის ხანა ქმნის ჩვენთვის ეკონომიურ კონკურენციის შესაძლებლობას, ამიტომ ჩვენ უნდა გავამაგროთ სახელმწიფოს პოზიციები ეკონომიურ ფრონტზე, რომ საშუალება გვქონდეს ამ ფრონტზე შეებრძოლოთ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს.

ამიტომ, ამბობს ის, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმ დასვენებით, რომელიც იქნება ჩვენთვის იმ შინაგან წინააღმდეგობების გამო, რომელნიც ღრღნიან კაპიტალის ქვეყნებს.

ამხ. ელიავა ეხება რა ამიერ კავკასიის და კერძოდ საქართველოს საკითხს, აღნიშნავს, რომ ბაქოს ნავთის და მის გზის, რომელიც მიდის საქართველოთი, საკითხი, რის გამო ჩვენსკენ მოპყრობილი იყო კაპიტალისტების ინტერესი, გასულ წელს თუ მწვავედ იყო დასმული, წელს ცნობით გადაწყდა.

სასოფლო მეურნეობა.

რას ამბობენ მასზე ციფრები?

ჩვენში, საქართველოში, თოთქმის 90 პროც. მოსახლეობისა ეწევა სასოფლო მეურნეობას. 1913 წელს სათესი მიწა ითვლება 667.000 დესეტ. 1918 წელს კი 477.769 დეს. 1922 წლიდან კი თან და თან იზრდება: 1923 წელში 542.000 დეს. 1924 წელს კი 629.000 დეს. ე. ი. 94,3 პროც. ომამდის არსებულის. ასეთივე დიდი წარმატებებია მებრძოლეობაში 1913 წელში აბრეშუმის ჭიის თესლი 80.000 კოლოფი დარგებული იყო და პარკის მოსავალი კი გამოიხატებოდა 95.000 ფ. 1923 წელში დარგიდა 63.000 ცალი კოლოფი ჭიის თესლი, მოსავალი 100.000 ფუთი, 1924 წელში 104.000 კოლოფი მოსავალი 139.000 ფუთი იყო. ყველა დანარჩენ დარგებში წარმატებებია, მხოლოდ მეჯოგეობაში კი დაქვეითებაა. 1917 წელს მსხვილ რქიან საქონელი 1.301.000 თავი და წვრილი კი 1.414 000 თავი. 1923 წელში მსხვილი 1.142 ათასი და წვრილი 872 000 თავი. გამონაკლისია მხოლოდ მეღორეობა. თუ 1917 წელში ჩვენ გვყოდდა 366.000 თავი, 1923 წელში ეს რაოდენობა გაიზარდა 390.000 თავამდე. ეხლა მატყლის შესახებ. აქ ჩვენ ვაანგარიშებთ თვალსაჩინო შემცირებას; მაგრამ ის აიხსნება ნელდეფუნობის გაუყიდველობით. ეხლა კი მისი განაღდება უზრუნველყოფილია. მორწყვის საქმე საგრძნობლად წინ წავიდა. შედარებით, ჩვენ უცმათ გავიყვანეთ 114 ვერ. ძახძილის არხები, რომლებიც მორწყავენ 43.500 დეს. მიწას. ეხლა მუშაობენ 4 არხზე—საერთო მანძილით 98 ვერს, რომლებიც მორწყავენ 26.400 დეს. მიწას.

მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს მიხა ცხაკაია.

კამათი მთავროგის მოხსენების გარშემო.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა თავის მოხსენებას სთარგმნის რუსულ ენაზე, რის შემდეგაც იწყება კამათი მთავროგის მოხსენების გარშემო.

პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. სანდრო იაშვილს, რომელიც აღნიშნავს გზების მნიშვნელობას, როგორც მეურნეობის აღორძინების, ისე კულტურული წინსვლის საქმეში.

ამხ. ქვირიკაძე

ეხება ქართულ წითელ არმიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ წითელი არმია არის არა მარტო საზხედრო ძალა, რომელიც იარაღით ხელში იცავს საბჭოთა რესპუბლიკას, არამედ ის არის კულტურული ძალაც. ჯარში გლეხი იძენს განათლებას და როდესაც ის ბრუნდება თავის სოფელში, მას უნდა კულტურულ მუშაობაში ჩაბმა, ეგრამ ზოგიერთ მაზრებში ადგილობრივი მუშაკები ხელს არ უწყობენ მათ ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამას გარდა, ადგილობრივი ამხანაგები არ ერკვევიან ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებისათვის დაწესებულ შედავთებში და თუ ერკვევიან, ნაკლებ ასრულებენ მათ. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა მუშაკებმა და გამოასწორონ ეს ნაკლულევანებანი.

ამხ. კურდღელაშვილი (ბორის მაზრა) აღნიშნავს ბორის სამაზრო აღმასკომის ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ ეხება ხელის გატანას ბორის მაზრიდან და აღნიშნავს, რომ ეს საქმე ვერ არის სათანდოთ დაყენებული. ბორის მაზრაში გაუსადებელი დარჩა ხელის მთელი რაოდენობის 30 პროც., კოოპერაციამ იკისრა ხელის გასაღების საქმე, მაგრამ მას ჯერაც არ გადაუხდია ფული გლეხებისათვის.

ამხ. ვასო ქურდაძე მოითხოვს მეტ ყურადღებას ადგილებისადმი და კონტროლის გაძლიერებას ადგილებზე.

ამხ. მათე შოგირაძე (გლეხი) ზუგდიდის მაზრის გლეხობის სახელით ესალმება საბჭოების ყრილობას და ამბობს, რომ იმის შემდეგ, რაც გლეხებმა მიიღეს თავად-აზნაურობის მიწები, ისინი უნდა ჩაებან საბჭოთა მუშაობაში და გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ამხ. შელაძე (ქართლელი გლეხი) ეხება სატყეო საქმეს და მოითხოვს მის მოწესრიგებას.

ამხ. აფრასიძე (სვანი) სვანეთის ხალხის სახელით ესალმება საბჭოების ყრილობას და აღნიშნავს, რომ ბოლო დრამდე სვანეთის გლეხობა სათანადოთ არ იცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას. სვანეთში დაძრწოდენ შენშვეიკები და ნაციონალ-დემოკრატები, რომლებიც იქ ანასგვარ პროვოკაციას ეწეოდენ. მაგრამ სვანეთის გლეხობამ შეიგნო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისი ნამდვილი მეგობარია. სვანეთის ხალხი დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და მას ამიერიდან ვერაფერ გადააცდენს სწორი გზიდან.

დასასრულ ორატორი სვანეთის გლეხობის სახელით შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ სვანეთში გაყვანილი იქნეს გზები, რადგან უგზოობის გამო სვანეთის ხალხი მოწყვეტილია საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

დასასრულ წაკითხული იქნა ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის, მთავარ სახელოსნოების ადგილკომის და ფოთის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭოს მისასალმებელი დეპეშები.

უჯრედების მდივანთა და აგიტპროპ-მომუშავეების თათბირი.

არმიის პარტკომისიის უახლოეს ამოცანების შესახებ.

ამხ. სტელმახის მოხსენება.

არმიის პარტიულ ორგანიზაციის წინაშე ამ ჟამად სდგას ისეთი ამოცანები, რომლებიც მეტად დიდ ყურადღებას მოითხოვენ.

პერსპექტივების შესახებ.

თუ ცარიზმის დროს დიდ მიღწევად ითვლებოდა რამო-



ამხ. სტელმახი.

დენიმე ფურცლის გამოშვება, დღეს ჩვენ შორის არიან პარტიულობის მხრივ ახალგაზრდა ამხანაგები, რომლებიც სხვაფერ უყურებენ დღევანდელ მშვიდობიანი აღმშენებლობის ამოცანებს: ისინი ამბობენ, რომ ჩაეფლენ ყოველიერ მდგომარეობაში და ვერ ხედავენ რევოლიუციონურ პერსპექტივებს. ასეთ შეხედულებაში ერთგვარი ავანტიურიზმი გამოსქვივის. ამ ამხანაგებს აწუხებს ის, რომ მათ მუშობას

კომინტერნის როლი არმიის დისციპლინის განმტკიცებაში.

აქ დისციპლინის შესახებ ბევრი ილაპარაკეს.

ჩვენში არის შემთხვევები, როცა კომუნისტები, თვით სამოქალაქო ომის ძველი მებრძოლებიც კი ისე უყურებენ მტკიცე რევოლიუციონურ დისციპლინას, რომელიც არ შეეფერება წითელი არმიის სულს. არის შემთხვევები, როცა პარტიულები ცდათ უყურებენ მეთაურს, რომელსაც სურს მტკიცე დისციპლინის გატარება ცხოვრებაში. ეს არ ვარგა. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ არა-ნორმალურ მოვლენებს. არის მეორე ფაქტიც, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ ამხანაგს.

კომუნისტები, რომლებიც ერთ შემთხვევაში რეკომენდაციას აძლევენ სპეც თეორ გვარდიელს, რომელსაც მონაწილეობა მიუღია წითელ-არმიელთა დახვრეტაში, სცდებიან და არღვევენ სწორ ხაზს.

დაუშვებელია აგრეთვე წითელი არმიელის „დენშჩიკად“ გადაქცევა ვისგანაც არ უნდა იყოს. ასეთ მოვლენებს სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები.

ყოფაცხოვრების საკითხები.

პარტიულ ეთიკაზე ბევრს ლაპარაკობენ. აქ ილაპარაკეს იმაზე, რომ პარტიის უჯრედი კინოდამ, „მჰ.ჩად“ (ხაქსი) გადაქცეულა. ის კოლექტივის კრებაზე არჩევს საკითხს—გაეყოროს თუ არა ამხანაგი ცოლს. თუ უჯრედმა ასეთი საკითხები არჩია, ცხადია, რატომ ესწრება მის კრებებს წითელ არმიელთა მცირე რაოდენობა. ან და ისეთი შემთხვევა, როცა ამხანაგი მიდის კრებაზე და ცოლს ოთახში ჰკეტავს.

„ჩვენი ზნეობა გამოდის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან“, „ჩვენი ამოცანაა—დავუმორჩილოთ ყველა ინტერესები ამ ბრძოლას“.

„ჩვენ ვამბობთ: ზნეობა—ეს ის არის, რაც ხელს უწყობს ძველი მყვლეფელი საზოგადოების დამხობას და ყველა მშრომელთა გაერთიანებით პროლეტარიატის გარშემო ჰქმნის კომუნისტების ახალ საზოგადოებას“—ასე ამბობს ლენინი.

საჭიროა ეს სიტყვები ყველამ შეისწავლოს. იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთმა პარტიულებმა ანხანაგის პირად ცხოვრებაში ხელის ზომაზე მეტი ფათურით თვითმკვლელობამდე მიიყვანეს ის. ასეთ მოვლენებს ჩვენ მომავალში არ დავუშვებთ.

ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

ადგილი ჰქოდა აგრეთვე ადმინისტრატიულ გადახვევას. კერძო შემთხვევებში პარტიის წევრებს უბრალოდ უკრძალავარ მოსდევს დღეს ქეიფი და არ ჯილდოვდება „წითელი დროშის ორდენით“. ცხადია, უაზრობაა ელაპარაკო სახელმწიფოს ხელმძღვანელ პარტიის წევრებს პერსპექტივების შესახებ. ჩვენ უნდა შევსძლოდ სწორად გამოვიყენოთ ყოველი მომუშავის უნარიანობა, კერძოდ არმიის მომუშავეებისა, მათი არმიიდან გაშვების დროს.

რაში მდგომარეობს რევოლიუციონური პერსპექტივები?

—„საბოლოო ანგარიშში ჩვენი რესპუბლიკის ბედი დამოკიდებულია ინაზე—გაპყვება თუ არა გლეხური მასა მუშათა კლასს და დაიცავს ნამდვილ კავშირს მასთან, თუ ის ნებას მისცემს „ნეპმანებს“, ე. ი. ახალ ბურჟუაზიას გაწყვეტიოს მუშებისა და გლეხების კავშირი“. (ლენინი). აი ჩვენი მთავარი ამოცანა—კავშირის განმტკიცება გლეხობასა და მუშათა კლასს შორის. საბჭოთა კომუნისტებს უნდა გვახსოვდეს ჩვენი წითელი არმიის ძლიერება უფრო მტკიცე იქნება მაშინ, თუ შეძლებთ სწორი ხაზი ავიღოთ გლეხობასთან დამოკიდებულებაში.

ცენტრალური საკანტროლო კომისიის დადგენილებაში ლოთობის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს:

„მთავრალი ამხანაგი სახელსუტეხს პარტიას. ის გამოდის კრებაზე ან გლეხთა მასებში და მთავრალი, აბნეული ენით წამოიისვრის რადაც უპასუხისმგებლო სიტყვებს. ის უკარგავს ანხანაგს ნების-ყოფას და ეუნებლიად არღვევიებს პარტდისციპლინას. უნდა შეიქმნეს საზოგადოებრივი ანხი პარტიაში ლოთობის წინააღმდეგ, რაიც უმთავრესი ზომა იქნება ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად.“

საკითხი ოჯახის შესახებ.

ეს საკითხი ვერ არის ჯანსაღი სამხედრო წრეში, განსაკუთრებით მივარდნილ გარნიზონებში.

„პარტიას უფლება აქვს მოსთხოვოს კომუნისტებს კანონის სასტიკი დაცვა დედისა და ბავშვის უზრუნველყოფის საკითხში; მშრომელმა მასებმა უნდა იცოდენ, რომ თუ რომ საბჭოთა კანონს არღვევს კომუნისტი, იმ შემთხვევაში არა-მარტო სასამართლო, არამედ პარტიაც დასჯის ასეთ კომუნისტს“. (საკანტროლო კომისიის დადგენილებიდან ოჯახის საკითხის შესახებ). ამხ. სტელმახი ეხება ფუფუნების საკითხებს, შემდეგ გადადის პარტიულთა ჯანმრთელობის საკითხზე და ამბობს, რომ საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს პარტიულთა ჯანმრთელობას.

თვითმკვლელობის შესახებ.

თვითმკვლელობა საბედნიეროდ ჩვენში იშვიათია, მაგრამ არ შეიძლება არ მივაქციოთ მას თქვენი ყურადღება. ამ შემთხვევებში პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პარტორგანიზაციებს, პირველ რიგში—ყოველ ჩვენგანს. ამ საკითხს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რომ ჩვენ ასეთ კრებაზე არ მოგვიხდეს ლაპარაკი ასეთ სამარცხვინო მოვლენაზე.

ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენს წრეში მეგობრული უბრალოების გარემოება, განვდევნოთ ერთმანეთს მედიდურობა და მოსამსახურული თავდამცირება.

არ უნდა ჰქონდეს ადგილი ფორმალურ, ცივ მოპყრობას ამხანაგისადმი. თუ ვიცით ამხანაგის დანაშაული, ჩვენ უნდა გავასამართლოთ ის. ამ დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში მისი რევოლიუციონური წარსული, სოციალური მდგომარეობა და სხვა.

არის კერძო შემთხვევები ამხანაგების დაცემისა და დაბეჩავებისა—მათ თავის დროზე უნდა მივეშველოთ და გავუწოთ დახმარება. აი ჩვენი უახლოესი ამოცანები, რომლებსაც უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება.

„კრ. ვ.“

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ბრძოლიდან ცხოვრებამდე.

ახკომკავშირელთა შორის.

მეთაურთა სკოლა.

4 აპრილს შესდგა მეთაურთა სკოლის მესამე ასეულის ახკომკავშირის უჯრედისა და მბეჭდავთა უჯრედის წარმომადგენლების გაერთიანებული საზეიმო კრება.

პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ჭავჭანიძე და აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთმანეთთან დაახლოებას და სხვა.

შემდეგ კრება გადავიდა დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაზე.

კომკავშირის როლის შესახებ წითელ არმიაში მოკლე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნამალაძე. ის ვრცლად შეეხო თუ რა დიდი როლი ითამაშა კომკავშირმა სამოქალაქო ომში.

შვებულებაში მიმავალ კურსანტების სოფლად საქმიანობის შესახებ ილაპარაკეს კურსანტებმა და კომისარმა შელიამ.

კომკავშირის წევრებმა ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს სკოლაში, უნდა მოახმარონ სოფლებს. ყველა საპრაბოროტო საკითხები, რომლებიც კი წამოჭრილი იქნებიან გლეხების წინაშე, შესაფერისად უნდა იქნენ განმარტებული და ახსნილი ამხანაგების მიერ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა იმ ნაკლულოვანებებს, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენი სოფლების სინამდვილეში. მათ შესახებ დაწვრილებითი ცნობები უნდა მოგვაწოდონ კურსანტებმა უკან დაბრუნებისას. ამით კი საშვალება მოგვეცემა გავითვალისწინოთ სოფლის პირობა და სწორი ცნობები მივაწოდოთ უმაღლეს ორგანოებს.

კრებამ ამხანაგის მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ.

ახკორი. მ. ბუსკაძე.

პოლიტ ლატარეიამ დაინტერესათ.

პირველი ცალკე საკავშირო ასეული.

კვირა დილაა. ჩვენს წითელ არმიელებს რაღაცა ეჩქარებათ. გადაცეცებით ემზადებიან. დიბინეს პირი, სუფთად გამოუყვეს და შეუდგენ დილის საუზმეს.

—ამხანაგებო!—გაისმა ყაზარმის კარებში გაჩერებული წითელ არმიელის ხმა.

ყველა სმენად გადაიქცა. ახლად მოსულმა ამხანაგმა აცნობა წითელ არმიელებს თუ რომელ საათზე დაიწყებოდა პოლიტ ლატარეია...

დანიშნულ დროზე ყველას თავი შეეყარათ და უცდიდენ სამხედრო კომისარს.

აგერ ისიც გამოჩდა საჩუქრებით ხელში და მიესალმა არმიელებს.

დაიწყო. წინასწარი ახსნა გაკეთდა მასაა პოლიტხელმა.

გამოიძახეს ერთი არმიელთაგანი. პირველ კითხვაზედვე, თუ ვისგან შესდგება წითელი ჯარი და ვის ემსახურება ის, არმიელმა ცოცხლად უპასუხა: „წითელი ჯარი შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან და მთისხვე ინტერესებს იცავს“.

თამამაქოს ეწევი?—„არა, არ მინდა, კარგი იქნება თუ მოიცემთ რვეულს ან ფანქარს“—მიუგო არმიელმა და რვეულის საჩუქრათ მიღებით გახარებული სირბილით გაეშურა ამხანაგებისაკენ.

ყველა თამამად და სისწორით უპასუხებდენ მიცემულ შეკითხვებს. თითქმის ყველამ მიიღეს საჩუქრები.

ლატარიის დასრულების შემდეგ არმიელებმა სთხოვეს პოლიტხელს ხშირად მოეწყოთ ასეთი გამოცდები, რაზედაც სიამოვნებით დასთანხმდა ეს უკანასკნელი.

სამხკორი შალაშინი

მოსპეთ ნაკლულევანებანი.

სამზარეულოში უწესრიგობაა.

მეოთხე ლეგიონმა აგერ მეხუთეთ გამოიცვალა სამნეოი ნაწილის უფროსი, მაგრამ სამზარეულოს საქმე მაინც მოუწესრიგებელია.

სამზარეულოსთან გაკეთებულია წითელ ლაშქრელების ადგილი, სადაც დიდ უსუფთოობას აქვს ადგილი. ხშირად ეჯაზმის უსინათლობის გამო ბნელაში გვიხდება.

მზარეული მეტად ბინძური და უსუფთაოა.

როდესაც კაცს თავისი თავის სუფთაოვე ვერ მოუხერხებია,—ვერც სამზარეულოს შეინახავს სუფთად.

ამაზედ წითელ არმიელებმა ბევრჯერ იჩივლეს ისაყვედურეს, მაგრამ ჩვენი ჩივილად დარჩა და სამზარეულოში ისევ უსუფთაობაა.

სადილი უნდა რიგდებოდეს 1-ლ საათზე, მაგრამ ხშირად ეს ასე არ ხდება და გვიანდება.

ხშირად ამ დროისათვის მზადაა სადილი, წითელ არმიელები ჩამდგარი ვართ რიგში ქვაბებით—მაგრამ მზარეული არ სჩანს.

უნდა უცადოთ მთელი საათობითა, ჩამოვშიშდებით ფიზ. ... საყვედურები, ყვირილი, ჩხუბი არეკ-დარეკა.

ერთი საათის ძებნის შემდეგ მოიყვანენ მზარეულს და იმის მაგივრად თავი რომ იმართოს, ის ლანძღვა გინებით არიგებს სადილს.

საკვირველია რატომ არ აქცევენ ამას ყურადღებას ჩვენი ლეგიონის მესვეურები.

დრო გავთავისუფლდეთ უმადურ და უსუფთაო მზარეულისაგან.

სამხკორი ხიშტი.

მოგვეცით საათი.

მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მეოთხე საგაუბიცო ბატარეის საყარაულო შენობაში მაინც არ იქნა და არ ჩამოკიდეს ერთი საათი.

ყარაულის უფროსები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი მორიგეობის დროს იძულებული არიან დაიწყონ მათ ხოვრობა, საათის საშოვნელად. ბევრჯერ ულაათობის გამო თავის დროზე ვერ გამოუცვლიათ გუშაგები რა გასპირდა ასე ერთი საათი? სხვაზე მოვიკლოთ და საათი შევიძინოთ. მიიქციეთ ყურადღება ვისაც ეს შეეხებათ. მოგვეცით ერთი საათი საყარაულო შენობისათვის.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

საცვლეგს ცუდათ გვირეცხავენ.

მეორე ლეგ. 2-რე ათასეულში ამბანოს საქმე ცუდათ არის დაყენებული, მაგრამ საპატიო მიზეზების გამო მის შესახებ არაფერს ვამბობთ. ასეთ პირობებში საცვლები მაინც უნდა ირეცხებოდეს კარგად, მაგრამ ათასეულის მრეცხავი ქალები, საცვლებს არ ხარშავენ. ხშირად ნახავთ გარეცხილ თეთრეულზე ცოცხალ მკბენარს. რადა ეს ეჭირვებათ ამბანოს მოკლებულ არმიელებს? ჩვენი ექიმი გვაზავა კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. საჭირო კი იყო მისი თვალყური. იმედი მომავალში მაინც ალარ განმეორდება ეს დაუდევრობა და გვიხსნით უსუფთაობისაგან.

წ. არმ. ოკითამიე.

მუშაობა კარგად მიდის.

მე-ნ-ე ლეგიონის მეექვსე ასეული.

ტერიტორიალური დალაგების თანახმად ჩვენი ასეული გადაგზავნილი იქნა №. პირველად ყოვლისა ასეული შეუდგა შინაურ ცხოვრებისა და საქმეების მოწყობა მოწესრიგებას, როგორც არის საცხოვრებელი ბინები და სხვა.

ასეული ჩქარა შეუდგა ცვალებად შემადგენლობის აღრიცხვაზე აყვანას, რომელიც წარმატებით იქნა ჩატარებული. მეცადინეობა სწარმოებდა ასეულის ძირითად შემადგენლობასთან. პირველი მარტიდან კი შეუდექით წვევამდელების მიღებას და მათთან მეცადინეობას.

ადგილობრივ ხელისუფლებასა და ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში ვიმყოფებით. მათთან დამოკიდებულება კარგია და საჭიროებისამებრ ყოველგვარ დახმარებას გვიწევენ.

ასეული არც კულტურულ ფრონტზე საქმიანობას სტოვებს უყურადღებოთ. გვყავს საკუთარი ძალებისაგან შემდგარი დრამატიული წრე და სხვა ხასიათის წრეები. წარმოდგენები ხშირად იმართება და ნაწილის შემადგენლობის გარდა გარეშე საზოგადოებაც მრავლად ესწრება.

სამხკორი შარიქაძე.

რად მოვითხოვთ მესაყვირეს.

გაზეთ „წითელ არმიელის“ ასწავლიან და უნდა ასრულებდეს მას შეგნებულად და კეთილ სინდისიერად.

ჩვენ „მესაყვირეს“ სახით გვემსახურება უკვე „საგარნიზონო ფა შინა სამსახურის წესდებები.“

ამ შემთხვევაში იმას არ ვამბობ, რომ მესაყვირე საჭირო არ იყოს ჩვენთვის. არა, საჭირო არის მაგრამ არა იმისთვის როგორც ეს ამბ. ძირითელ ... ბის დაწყების და გათავების დროს, ვინაიდან მეცადინეობა სწარმოებს ჯგუფობრივი და ეს ჯგუფები-კი დაცილებული არიან ერთი მეორისაგან.

მორიგეს საათის შესრულებისას უნდება ჯგუფების დავლა რასაც ტყვილა დროის დაკარგვად უნდა ჩაითვალოს და ამასთანავე ხელს უშლის მეცადინეობის სისტემატიურად წარმოებას.

ყველა ამ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად საჭიროა დანიშნოს მესაყვირე, რომელიც ხელს შეუწყობს სისტემატიურად მეცადინეობის წარმოებას და არა იმისთვის, როგორც ამას ამბ. ძირითელი გვირჩევს.

გ. დანდურავი.

პატარა შენიშვნა.

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის“ ხელის მომწერლები დამატების სახით ჩიდებენ—მიხ. ადამაშვილის ცნობილ რომანს: —„კვეტი კვეპანტარაძეს“ და სხვას... სამწუხაროთ ეს და სხვა დამატებები გაჩდა ჟურნალ „ჩირაღდანსა“ და „მეცნიერება და ტეხნიკა“-სა—ურიგდებათ მხოლოდ **წლიურ ხელისმომწერლებს.** ჩვენ—სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკარები ჟურნალ გაზეთების გამოსაწერ თანხებს—უკეთეს შემთხვევებში მხოლოდ სამი თვის პერიოდისთვის ვიღებთ ფულად და აქედან—არც საშუალება გვაქვს რომელიმე ჟურნალი თუ გაზეთი თავიდანვე ერთი წლით დავიკვეთოთ... სამ-სამი თვით გამოწერა კი მთელი წლის განმავლობაში გვიხდება. გამოდის ასე, ჩვენ არ ვითვლებით ფორმალურათ წლიურ ხელის მომწერათ, მაგრამ ფაქტიურად—თითეული ჩვენი ნაწილის ბიბლიოთეკა—სამკითხველო სხვაზე თუ არა—„კომუნისტზე“ და „მუშაზე“ მაინც წლიური ხელისმომწერია, მხოლოთ მატერიალურ საშვალებათა უქონლობის გამო იძულებული ვართ მთელი წლის ფული ნაწილ-ნაწილათ ვიხადოთ. ამიტომ ერთის მხრივ მართალია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია—როცა ჩვენ დამატებებათ გამოსულ წიგნებს არ გვირიგებს და მეორე მხრივ კი არა...

ამ გარემოების გამო, ვფიქრობთ კარგი იქნება თუ ჩვენი პოლიტიკური განყოფილება სათანადო სექციის საშუალებით მიმართავს ქართულ გაზეთების რედაქციებს, რომ ჩვენ, სამხედრო ბიბლიოთეკებს დაგვითმონ ის წიგნები უფასოდ, რომელიც წლიურ ხელის მომწერლებს ურიგდებათ ხოლმე.

ამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ საშუალოთ თითო ბიბლიოთეკა ათ ცალ კომუნისტს ღებულობს—ჩვენ აქ, (სხვაგან რომ არ ვთქვათ) 7 თუ 8 ბიბლიოთეკა გვაქვს და ეს ბიბლიოთეკები 80 ცალ წიგნს ერთი სათაურისას უფასოთ მიიღებენ—ეს კი საკმაო თანხას მოგვრნეობა იქნება პოლიტგანისათვის და შესაძლებელი იქნება ამ მნიშვნელოვან (ჩვენთვის) თანხის სხვა დანიშნულებისათვის მოხმარება.

ანზორა.

ტყე და მისი მნიშვნელობა მუშრომელი გლეხების ცხოვრებაში.

საქართველოში სახნავ სათესი ადგილი შეფარებით მოთხოვნილებასთან მცირეა. ეს სიმცირე ორი ზომით აჭარავდება მით, რომ ზოგიერთი კუთხეში მიწის დამუშავება პირველყოფილ ხანის ხერხს არ განსცილება.

ეს დიდი ნაკლია ჩვენი სასოფლო მეურნეობის, რაც თვალსაჩინო დაღს ასვამს ქვეყნის კულტურულ განვითარების სხვა დარგებსაც. ამითაა ის გამოწვეული რომ მშიერ მწყურვალი გლეხი, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს სახნისით—ჟოჩიჩნელი და სასუქ მოკლებული მიწა, ეძებს გამოსავალს.

მას იქვე ახლოს ეგულება ტყე, მისი ნიადაგის ფასიც კარგათ იცის, სჩეხს ტყეს და აკეთებს ახოს.

თუ რა ზარალი მოსდის ამითი მას ან მთელ კუთხე—მეზობელს ის მაზე არ ფიქრობს და არც უნდა რომ იფიქროს, რადგანაც იმ წელიწადში უზრუნველ ყოფილი იქნება სარჩოთი, თუ ნიადაგმა არ ჩამორეცხა, როგორც ნათესი ისე მიწა.

მაგრამ საუბედუროთ ხშირათ ხეობა ისე, რომ გლეხს მთელი წლის ნაშრომი და ნათესი ერთი საათის განძავლობაში ეკარგება და ჩაუვლის უქმად.

ჩვენი ქვეყანა ყველამ ვიცით რომ უმეტეს შემთხვევაში მთა გორიანია. ქალები სადაც არის იქ დიდხანია ხვნა თესვა სწარმოებს, მშიერი გლეხი იძულებულია ტყე გასჩეხოს ფერდობზე და იქ გაკეთოს საყანე.

გადის სამი ოთხი წელიწადი, ხანდახან კი იმავ წელსვე და ამ ახლად დამზადებულ საყანეს პირველ დათესვისთანავე რამდენიმეჯერ მოსული ნიადაგი ანდგურებს, ალარც მიწაა, ალარც ყანა, ალარც ტყე.

სად წავიდა ეს ნოყიერი მიწა? ის ჩაირეცხა ნიადაგრისგან ბარში და თან გაიყოლა ქვა-დორღი, და ერთიანთ გაანადგურა ბარის ნათესებიც, რითაც მოუსპო არსებობის წყარო სხვა გლეხებს.

— ეს შემთხვევები ჩვენს ქვეყანაში ძალიან ხშირია საყანეს გაჩენას ფერდობ ადგილებზე არაჩვეულებრივი ზარალი მოაქვს: ერთი, რომ მომავალში ტყის გასაშენებლათ ნიადაგი ალარ ვარგა, რადგანაც საჭირო მიწა სულ ჩაირეცხება და მის ადგილებზე მხოლოთ წმინდა კლდეები ღა დარჩება; მეორე ის მთის წყაროები, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა უხვია და ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველ ხარისხოვან და საამაყო ადგილს იკავს შრება და იწრიტება.



ᲕᲘᲬᲔᲠ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲐᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲬᲕᲔᲕ ᲥᲕᲔᲛᲝᲓ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲡ:

I. ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲓᲐᲜ.

1. მიშა კაკუთელაძეს—
2. ს. ᲪᲣᲪᲣᲥᲘᲠᲘᲫᲔᲡ—
3. ფილიმონ ლაბაძეს—
4. კოწია ზვიადაძეს—
5. დიმიტრი მელქაძეს—
6. მიშა ნიორაძეს—
7. ალექ. სიკოს-ძე ვაშაძეს—
8. ონისიმე მოდებაძეს—
9. ბიტოლია ლეფავას—
10. გიორგი ნუკუბიძეს—
11. ᲒᲝᲠᲯᲘᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ—
12. კოლია ფუტკარაძეს—
13. ტერენტი შარიქაძეს—
14. ბიძინა ტყემალაძეს—
15. ელეფთერ ღვალაძეს—
16. გიორგი ნუკუბიძეს.

II ᲖᲣᲡᲢᲐᲤᲝᲜᲓᲔ Ნ.

1. კოლია საყვარელიძეს—
2. შალვა ყანჩაველს—
3. შალვა თუთბერიძეს—
4. სტეფანე გოლაძეს—
5. კოწია სუთაძეს—
6. გერასიმ ბრეგვაძეს—
7. დათიკო დეკანოსიძეს—
8. მერაბი მაჭავარიანს.

III ᲩᲮᲐᲠᲘᲓᲐᲜ.

1. კოლია მუჯირს—
2. ალექან. ფანჩულიძეს—
3. ᲗᲣᲠᲣ ᲣᲧᲠᲣᲚᲝᲕᲡ—
4. ბაჯი-ოღლი კორკოტაᲕᲡ—
5. დათიკო კაკკაᲨᲕᲡ—
6. ონიფანტე რობაქიძეს—
7. ვასილ შოთაძეს—
8. დავით გამთენაძეს—
9. ვანჩა ლეტიძეს—
10. გრიშა ვერილაშვილს—
11. მიხაკო ფანჩულიძეს—
12. აკაკი ქოჩიაშვილს—
13. დათიკო ᲯᲣᲓᲔᲚᲡ—
14. ალექს. კუტივაძეს—
15. შალიკო აბულაძეს—

მ. სიმონგულოვი.

უწყლოთ კი გლეხი ვერ გასძლებს და იძულებული ხდება გადასახლდეს სადმე ან გაიკითოს ჭები და ქვესკნელში ეძიოს საჭირო წყალი.

ყველა ამათ რომ თავი დავანებოთ ყველას უნახავს ჩვენი სოფლების ახლოს ჩამომდინარე რუები, ღელეები და პატარა მდინარეები, რომლებიც დიდი წვიმის დროს მოდიდდებიან და ფაფარ აყრილ ლომივით, ღრიალით მოეკანება დაბლობისაკენ, თან მოაქეს უზარმაზარი ქვები, მოთხრილი ხეები, წისქვილები, მშვენიერი ნთესლები და კოპწიით მორთული გაწმენდილი ვენახები. ამ გვართ ერთი საათის შემდეგ ეს მშვენიერი ადგილები სასოწარკვეთილებაში აყენებს მიწის მუშას, როდესაც ლამაზი ყანის ან ვენახის ადგილზე ხედავს დანიღვრებულ—ადგილებს.

წინეთ ასე არ ხდებოდა, რადგანაც მთელი მთა გორები შებურვილი იყო ტყეებით. დიდი წვიმები თუმცა მოდიოდენ, მაგრამ მას ხარბათ ისვამდა ტყის ნიადაგი და ეს ეკანასკნელი მთელი წლის განმავლობაში დაგროვილ წყლის მასალას (როგორც თოვლისას ისე წვიმისას) ზომიერათ უნაწილებდა წყაროებს და მდინარეებს. ასე, რომ როგორი წვიმაც არ უნდა ყოფილიყო მდინარის წყალი საგრძნობლათ არ იმატებდა და არც ზეფხულობით შრებოდა. ახლა კი ტყეების მოსპობასთან ერთად უნდა მოველოდეთ უფრო და უფრო მეტ წყალდიდობას.

მ. დ.

ᲓᲐᲛᲬᲘᲡᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ.

პროლეტარულმა პოეტმა ალბ. აკაკი აკაფიანმა 2 ქ. დ. პოლიტ-განყოფილებას საჩუქრად გამოუგზავნა რამოდენიმე ცალი თავის ნაწარმოებისა, რის გამო პოლიტ-განყოფილება მას დიდ მადლობას სწირავს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲔᲑᲘ.

—**კოოპერაცია საქართველოში.** მიმდინარე წლის დასაწყისისთვის მთელ საქართველოში ითვლებოდა 132 სამომხმარებლო კოოპერატივი 700 სავაჭრო დუქნით.

—**სოფლის ნაწარმოები.** გასული წლის განმავლობაში ცეკავშირმა დაამზადა 3.400 მანეთის სოფლის მეურნეობის ნაწარმოები.

—**წითელი ჯვარი.** 1924 წელში საქ. წითელი ჯვრის საექიმო—სასანიტარო დაწესებულებებიდან უფასო საექიმო დახმარება მიუღია 150 ათას ავათმყოფს.

თამბაქოს დამზადება. გასული წელს მთელ საქართველოში დამზადდა 250 ათასი ფუთი თამბაქო 4.250 ათას მანეთად ღირებული.

—**თუჯის წარმოება.** გასული წლის განმავლობაში ჩათხის ქარხანაში გადაადნეს 85.480 ფუთი თუჯი.

—**წყაროების გამოსაყენათ** ტფ. აღმასკომმა ბულაჩაურიდან და ნატახტარიდან ქალაქში წყაროების გამოსაყენათ გადასცა 26 ათასი მანეთი.

—**წითელი სასადილოები.** ვინაიდან ღღემდე წითელი სასადილოები ტფილისში ღია იყვნენ ღამის 2-3 საათამდე, ამ ერიდან გადაწყვეტილია წითელი სასადილოები დაიკეტოს ადრიანი 6 საათზე.

—**სათესლე სესხი.** ზოგიერთ რაიონების მოუსავლიანობით დაზარალებულ გლეხობისათვის სათესლეს შესაძენათ ა.კ. უმაღ. ეკ. სპეციალ გადასცა 150 ათასი მანეთი.

—**დახმარება დაზღვეულ მუშებს.** დაზღვეულთა დასახმარებლათ დამზ. სალ. მარტში გაიცა 57.791 მანეთი.

—**ვენერიულ ავათმყოფობასთან** ბრძოლის მიზნით სალიტონო განყოფილებასთან (ს.მ.უ.ს.) არსდება ვენერიულ ავათმყოფობის საექიმო პუნქტი.

—**სწავლის შეწყვეტა სკოლებში.** ტფილისში გარდა უმაღლეს სასწავლებლებისა, სასწავლებლებში სწავლა შეწყდება 24 აპრილს და განახლდება 4 მაისს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ურაგანი—ტორნადოსი და მისგან გამოწვეული საშინელებანი ამერიკაში.

19 მარტს ამერიკის ერთ კუთხეში—ილინოისში ამოვარდა არაჩვეულებრივი ძალის ურაგანი—კუდიანი ქარი, რომელმაც სრულიად დაანგრია—გაანადგურა 26 ქალაქი. ამ საშინელი სტიქიის მსხვერპლი შემდეგია. დახოცილია 900 კაცი, დასახიჩრებული 3.600 და 10.000 კაცამდე დარჩენ სრულიად უსახლკაროდ. საერთო ზარალი აღწევს 150 მილიონ დოლარამდე. დანგრეულ სახლებში ჩნდება ცეცხლი და ნადგურდება უმრავი ადამიანები და სიმდიდრე. აღნიშნული ურაგანი მძვინვარებდა 150 000 კვადრატ. კილომეტრის სივრცეზე.

საინტერესოა თუ რატომ აქვს ადგილი ჩრდილოეთ ამერიკაში ხშირად ასეთ საშინელ გამანადგურებელ ორმოტრიალს ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ხშირად მოულოდნელად და უცებ იცვლება ამინდი. ამის მიზეზია ის, რომ ჩრდილოეთიდან ამერიკაში აწყვეტილი მოემართება ცივი ჰაერის ტალღები, ხოლო სამხრეთიდან კი ასევე შეუკავებლად ტროპიკული ჰაერის ცხელი მდინარება.

ნიუ-იორკში და ქალაქ ჩიკაგოში ხშირად ასეთ მოვლენას აქვს ადგილი: დილას ქუჩებში გაყინულია წყალი, ხოლო შუადღეზე 20 გრადუსი სიცხე დგება. აი ასეთი ორი მოწინააღმდეგე—ცხელი და ცივი ჰაერის მდინარების საზღვარზე ჩნდება გამანადგურებელი ურაგანი—ტორნადოსი.

აღნიშნული ურაგანის დროს ჰაერი თავბრუდამხვევი სიჩქარით ტრიალებს ვერტიკალურად—ქვევიდან ზევით. ჰაერის ბრუნვის სიჩქარე რამოდენიმე ასეული მეტრამდე აღწევს წამში. ჩვეულებრივად ტორნადოსი აკეთებს საათში 20—100 კილომეტრამდე მანძილს.

მბრუნავი კუდიანი ქარის სიგანე მიწაზე ხშირად 50 ვერსამდე აღწევს და ზემოთ მოყვანილი სიჩქარით მურკვევით მიგორავს. ამ დროს ყველა განადგურება ერთი წამის საქმეა.

ტორნადოსის გამანადგურებელი თვისება იმაში გამოიხატება, რომ დატრიალებული ქარბუქის შიგნით ჩნდება საცარიელე. ჰაერი აღარ არის ურაგანის გულში. სიცარიელეს კი შენობები ვერ უძლებს და თვალის დახამხამებამდე ინგრევიან. ადამიანები კი იმიტომ იხოცებიან, რომ ჩვენს ორგანიზმში მოძრავი სისხლი შეგუებულია ჩვეულებრივი ჰაერის დაწოლასთან მასში ამ დაწოლის შესაბამისად არის გაზავებული ჰაერის ნაწილეკები, ხოლო როგორც კი ადგილი აღარ ექნება ამ დაწოლას გარეგან, ან საგრძნობლად შესუსტდება ის, სისხლში ჩნდება ჰაერის ერთი შემადგენელი ნაწილის აზოტის ნაწილაკები, რომლებიც გაეტენებიან სისხლის თვისებრივ მილებში, უმთავრესად ტვინის და ფილტვების მილებში. ამას ვეღარ იტანს ადამიანის ორგანიზმი და სწყვეტს არსებობას.

ტორნადოსი ხშირად იჩენს თავს გაზაფხულზე. მაშინ უფრო აქვს ადგილი ცივ და ცხელ ჰაერის მიწინააღმდეგე ხბრეებიდან მდინარეს.

1899 წელში ასეთი მოვლენის მომსწრე ამბობს შემდეგს: „სახლის სახურავები და მთელი სახლები 400 მეტრის სიმაღლეზე იქნენ ა-როლილი. ერთი სახლი ასროლილი იქნა 100 მეტრის სიმაღლეზე და იქ დაიმსხვრა. სამი კაცი ერთბამად აიტაცა ურაგანმა 400 მეტრის სიმაღლეზე და ისევ ნელა დაეშვენ ძირს. ერთი ცხენი სამი ვერსის მანძილზე გადაისროლა ურაგანმა და ისევ ცოცხალი ᲯᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ დარჩა. და სხვა მრავალი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

კითხვა: მე მყავს 66 წლის მამა და 19 წლის ძმა. 1 დესეტინა უნაყოფო სახნავი მიწა და 2 ჩარექი ვენახი ისედაც ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ოჯახს და მით უფრო მისი მდგომარეობა გაუარესდა მას შემდეგ, რაც ვენახი ფილოქსერამ შესჭამა. მე ვცხოვრობ ურიცთა უბანში, თელავის მახლობლად, სადაც ბლომად ჩამოართვეს თავდებს ვენახები, რომელიც გადავიდა კომუნას განკარგულებაში. მე ვერ შევედი კომუნაში, რადგან წითელ არმიაში გამიწვიეს, ჩემი უნცროსი ძმა კი არ შეუყვანიათ მისი მცირე წლოვანობის გამო.

გთხოვთ მიპასუხოთ როგორ უნდა მოვიქცე ამ შემთხვევაში და ვის უნდა მივმართო?

წით. არმ. **გივა ᲯᲣᲚᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

პასუხი. უნდა წარუდგინოთ შუამდგომლობა ლეგიონის უფროსის საშუალებით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ᲩᲐᲜᲩᲚᲐᲫᲔ**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲭᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲑᲝ?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 2 კ[illegible] მუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიის [illegible] მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს.

1. **ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ** ლეონტი დიმიტრისძე.
2. **ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ** შალვა გიორგისძე.
3. **ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ** ვალერიან ნიკოლოზისძე ა. ლ. კ. კ. წევრები.
4. **ᲙᲐᲪᲐᲫᲔ** შალვა ლუკასძე.
5. ბერიძე სერგო ვარლამისძე.
6. **ᲨᲐᲜᲘᲫᲔ** ერშტენ დურსუნისძე.
7. **ᲭᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** პლატონ ლუკასძე.

ზემო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო მოეპოვებათ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგ მისამართით ერთი კვირის განმავლობაში.

(ᲕᲐᲙᲔ) ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Კ. ᲡᲝᲮᲘᲫᲔ.

ქართულ სამხედრო ტრიბუნალის კომუჯრედში შემოსულია განცხადებები შემდეგი ამხანაგების:

1. ᲝᲠᲛᲝᲠᲚᲝᲫᲔ დავით ქაიხოსროს-ძის (გამომძიებელი)
2. ᲖᲣᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნიკოლოზ ალექსის-ძის (ტეხნიკური მ[illegible] მუშავე).

რომელნიც თხოულობენ იყონ მიღებულნი კომუნისტური პარტიის კანდიდატებათ.

ვთხოვთ თუ ვისმეს აქვს რაიმე მამხილებელი აღნიშნულ ამხანაგების წინააღმდეგ გვაცნობოთ 10 აპრილამდე შემდეგ მისამართით

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲭᲣᲠᲩᲘ № 32.

კომუჯრედის მდივანი **ᲑᲐᲑᲚᲘᲫᲔ.**

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის № 3 კ[illegible] უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატად შემოსოვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს.

1. გურგანაძე პოლიკარტე ¦ლეონტის-ძე. რაჭის მაზრა სოფელ-ზემო-თლეურხის'
2. აბრამიძე პავლე ივლიანის-ძე-ქუთაისის მაზრა სოფ[illegible]ვანი.
3. დანელია სერგო დათას-ძე. სენაკის მაზრა სოფ[illegible]ლებინდრაოში.
4. ფხაკაძე მიქტორ ილიას-ძე.

ქუთაისის მაზრა, ქალაქ ქუთაისის მცხოვრები.

ყველა ამხ. უპარტიოებია.

თუ ვისმეს მოეპოვება ამხ. კანდიდატად მიღების შესახებ საწინააღმდეგო ცნობები, გთხოვთ მოგვაწოდოთ კომუჯრედის პრეზიდიუმს ორი კვირის განმავლობაში.

ᲥᲐᲠᲗ. ᲒᲐᲔᲠ. ᲛᲔᲗ. ᲡᲙ.№ 3.ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲘ.

მე-5-თე ქართულ ლეგიონის მე-9 რე ასეულის კ[illegible] მუჯრედში განცხადება აქვთ შემოტანილი კომპარტიის კ[illegible] დიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

ᲣᲜᲪᲠᲝᲡ ᲛᲐᲗᲐᲣᲠᲘᲡ:

1. **ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲐᲫᲔ** ვასილი პეტრეს-ძე
2. **ᲯᲐᲜᲧᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ქრისტეფორე მალხაზის-ძე

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ:

1. **ᲡᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ვასილი.

თუ ვინმეს აქვთ რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ხანაგების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 10 დ[illegible] განმავლობაში **ქ. ᲑᲐᲗᲝᲛᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 41.**

პ. მგ. მდივანი: **მ. ᲛᲔᲥᲕᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

---

1. ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში [illegible] მოტანილია განცხადება ა. კ. კ. წევრის იოსებ მაღალა[illegible]ლის მისი პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. ვ[illegible] აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვ[illegible] განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ავლაბარი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი **ᲛᲘᲗᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ ქალაქ ტფილისის სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმიდან მოცემული მოწმობა № 513 და ქალაქ ყვირილის აღმასკომიდან გაცემული [illegible]ტრიკული ამოწერილობა კონსტანტინე ისიდორეს-ძე [illegible]ლიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ ს. კ. პ. მოლიანი საწევრო ბილეთი № 499955, საქ. სამხედრო კოოპერატივის ბილეთი № 22 გაცემული ავქსენტი თედორეს-ძე [illegible]განიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.